ამოკვლეულ იქნა პროექტის ფარგლებში არსებული საინიცირო ნაგებობები დამოხდა ახალი საინიცირო ნაგებობების ადგილმდებარეობის განსაზღვრაგებაზე და გზის პროფილზე საპროექტო გზის დერძის განსაზღვრასთან ერთად.

საპროექტო სტანდარტი: მონაცემი 2-თვის პროექტისკონსულტანტმა გადაწყვიტა შემოეთავაზებინამსოფლიოშიაკრედიტებული საპროექტო სტანდარტი—AASHTO სტანდარტი. შესაბამისად, ყველა ხილი დაპროექტებულია HL-93დატვირთვისთვის და სხვა ნაგებობების პროექტირება მოხდება ძირითადად AASHTO LRFD Bridge Design Specification (4th Edition, 2007) (ხილის პროექტის სპეციფიკაცია (მე-4გამოცემა, 2007წ.))—ის მიხედვით და ასევე მსოფლიოში აღიარებული საპროექტო სტანდარტების საფუძველზე.

საპროექტო დატვირთვა: საანგარიშო სატვირთო მანქანა (LRFD 3.6.1.2.2) და საანგარიშო დერძული დატვირთვა (LRFD 3.6.1.2.3). საანგარიშო დერძული დატვირთვა შედგება წევილი 110,000-N ლილვისაგან რომლებიც განლაგებულია 1200 მმ დაშორებით. ბორბლების განივი დაშორება 1800 მმ.

საპროექტო ზოლის დატვირთვა (LRFD 3.6.1.2.4): საპროექტო ზოლის დატვირთვა შედგება 9.3N/მმ-სგან, რომელიც ერთგვაროვნადა განაწილებული გრძივი მიმართულებით. განივი მიმართულებით საპროექტო ზოლის დატვირთვა სავარაუდოდ ერთგვაროვნად იქნება განაწილებული 3000 მმ სიგანეზე.

დატვირთვა ფეხითმოსიარულების მიერ (LRFD 3.6.1.6): 3.6×10^{-3} MPa დატვირთვა ფეხით მოსიარულების მიერ მიღებულია ყველა ტროტუარზე რომელიც 600მმ-ზე განიერია და გათვალისწინებულია ამავდროულად სატრანსპორტო საპროექტო ცოცხალ დატვირთვასთან ერთად. ხილები მხოლოდ ფეხით მოსიარულებისათვის და/ან საველოსიპედო მოძრაობისათვის დაპროექტებულია 4.1×10^{-3} MPa ცოცხალი დატვირთვისათვის.

მიწისძვრა: საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტის დოკუმენტის—PN 01.01-09-“მიწისძვრის საწინააღმდეგო ნაგებობის” მიხედვით, საპროექტო გზა მდებარეობს სეისმურ ზონაში და სეისმური დარიანობის მიხედვით მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას MSK64 სკალის მიხედვით, მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების(არამეტრულისეისმურიკოეფიციენტი-А)სიდიდით, თბილისში—0.17, რუსთავში — 0.12.

მასალები

ისეთი სამშენებლო მასალები, როგორიცაა კენჭი, ქვა, ხრეში და ქვიშა, ხელმისაწვდომია ახლომახლო ადგილებში, ხოლო ბიტუმი, ფოლადი და სხვა სამშენებლო მასალების შემოზიდვა უნდა მოხდეს უცხოეთიდან.

ცხრილი 14.1: გაბარიტები

ნაგებობა	მინიმალური ვერტიკალური გაბარიტი	
	TEM-ს სტანდარტი	პროექტი
ავტომაგისტრალის ხიდი	4.7მ	5.1მ
საფეხმავლო ხიდი	4.7მ	5.1მ

გადაწყვეტილია, რომ სამალე ნაშენი და ხიდების ფუნდამენტი იქნება ერთგვარი, ანუ მოხდება ერთი ტიპის ნაგებობების გამოყენება, რაც ტექნიკურადაც გამართლებულია და აგრეთვე, საშუალებას იძლევა მოკლე ვადებში დასრულდეს მშენებლობა. ხიდებს აქვს ხიმინჯოვანი საფუძველი. სამალე ნაშენში გამოყენებულია ტესტი წინასწარდაჭიმული დადაბაბული L=33მ კოჭები. კოჭების სტრუქტურა შერჩეულია AASHTO-ში მოცემული ტიპიური განივიკვეთის შესაბამისად. კოჭების რაოდენობა დამოკიდებულია ხიდის გაბარიტებზე. თითოეული კოჭისქვეშ განთავსებული რეზინის საკისრები მნიშვნელოვნად ამცირებს მიწისძვრის დინამიკურ ზემოქმედებას. კოჭების ზემოთ უნდა განთავსდეს არმირებული ბეტონის მათანაბრებელი ფენა სამალენაშენის პიდროიზოლაციისათვის. გზის სავალ ნაწილზე გუნდა დაიგოს h=7 სმ, ხოლო ტროტუარებზე-h=3სმ ასფალტობეტონის საფარი. ზის სავალი ნაწილის განივიქანობიარის 2%. ჭყლის გადინება სავალი ნაწილიდან უნდა მოხდეს დრენაჟის მიღებით, რომლებიც დაკავშირებულია სამალე ნაშენში განთავსებულ მიღებთან, სადაც ხდება წყლის დაგროვება და შემდეგ ჩაედინება ხიდის ზონაში არსებულ გამწმენდ მოწყობილობებში.

ხიდის ვაკისი შედგება ასფალტობეტონის სავალი ნაწილის და ტროტუარებისგან. გზის სავალი ნაწილი, ესტაკადის გარდა, შედგება სატრანსპორტო ზოლებისა და ორი უსაფრთხოების ზოლისაგან. ტროტუარის ერთ მხარეს უნდა გაკეთდეს ზღუდე, ხოლო მეორე მხარეს მოაჯირი. საინჟინრო ნაგებობების გაბარიტები შერჩეულია საქართველოში მიღებული სტანდარტებისა და საპროექტო გზის გაბარიტების შესაბამისად.

საპროექტო ხაზში გათვალისწინებულია სამი ხიდი და ხუთი საფეხმავლო ხიდი:

- 8 ნაგებობა, რომელშიც შედის:
- 3 - ხიდი, მთლიანი სიგრძე 132.00 მ;
- 5 - საფეხმავლო ხიდი, მთლიანი სიგრძე 222.00 მ.

საპროექტოხაზშიგათვალისწინებულისამიხიდიდახუთისაფეხმავლო ხიდი
შემდეგი saxisa:

ცხრილი 14.2: ხიდის გეგმა

დასახელება	ადგილმდებარეობა	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	საგალიგზის	შენიშვნა
ხიდი1	PK.74+96	33	29.74	11.5+11.5	
ხიდი2	PK.98+24	33	28.04	11.5+11.5	
საფეხმავლო ხიდი1	PK 58+00	2@19=38	3.30	3.0	
საფეხმავლო ხიდი2	PK 61+20	2@19=38	3.30	3.0	
საფეხმავლო ხიდი3	PK 69+00	2@19=38	3.30	3.0	
საფეხმავლო ხიდი4	PK84+40	2@27=54	3.30	3.0	
საფეხმავლო ხიდი5	PK 88+20	2@27=54	3.30	3.0	
საფეხმავლო ხიდი6	PK 92+40	2@27=54	3.30	3.0	
სულ		342			

ხიდის ტიპების შედარება:

«დოჭვა»-ს და «ტრანსპორტული»-ს მიერ წამროდგენილი ხიდების შედარება ჩატარდა იმისათვის, რომ გარკვეულიყო და არჩეულიყო უფრო ეკონომიური კოჭის ტიპი ერთხაერო პირობებისათვის 33-მ სიგრძისა და 41-მსიგანით.

ლოგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები, «დოჭვა»-ს გეგმა ბეტონისა და არმატურის მოცულობის ოვალსაზრისით უფრო ეკონომურია ვიდრე «ტრანსპორტული»-ს გეგმა. PSC კოჭებიანი 14-მ სიგანეს მქონე ხიდის ფაბრიკაციისას «დოჭვა»-მ წარმოადგენილი ვარიანტი ითვალისწინებს 7 კოჭს მაშინ როდესაც «ტრანსპორტული»-ს მიერ წამროდგენილი ვარიანტი ითვალისწინებს 8 კოჭს. მოცულობების დეტალური შედარებისას გამოჩნდა, რომ «დოჭვა»-ს წარმოდგენილი პროექტში გამოიყენება 9მ³-ით ნაკლები ბეტონი და 29.85 ტონით ნაკლები არმატურა ვიდრე «ტრანსპორტული»-ს პროექტში.

ცხრილი 14.3: ხიდის ტიპის შედარება

ტიპი	დოჭვას რამოდგენილი ხიდი	ტრანსპორტულის წარმოდგენილი ხიდი

განივი პერიოდი	განივი პერიოდი		განივი პერიოდი		განივი პერიოდი	
ტიპი	ბეტონი (მ³)	არმატურა (ტონა)	ტროსი (ტონა)	ბეტონი (მ³)	არმატურა (ტონა)	ტროსი (ტონა)
ვაკისი	129.502	28.584	-	73.000	16.436	-
კოჭი	122.500	22.323	10.654	188.000	63.856	10.374
სულ	252.002	50.907	10.654	261.000	80.292	10.374

შესაბამისად «დოპგა»-ს გათვალისწინებული აქვს 19-მ და 27მ-იანი საფეხმავლო ხიდები რათა შემცირდეს მშენებლობის დირექტულება და გაუმჯობესდეს კონსტრუქციულობა, ხიდებს აქვთ ერთნაირი განივი კვეთები განსხვავდება მხოლოდ კოჭის სიგრძე და ტროსების რაოდენობა.

ცხრილი 14.4: საფეხმავლო ხიდის შედარება


ნაწილი	19მ-იანი კოჭი	27მ-იანი კოჭი
განივი პერიოდი		
ტროსების რაოდენობა	8	18

ნაკადის მონაკვეთებირომლებიც პერიოდის ძირითად გზას დაპროექტებული იქნება სტანდარტული პროექტის გამოცდილებით, ოთხეუთხაანმრგვალიმიწისევეშა გადასასვლელისგამოყენებით.

ჩაბურდილი ხიმინჯების საყრდენი სისტემა: ხიდის საფუძველის დეტალურ
პროექტში წარმოდგენილი იქნა ჩაბურდილი ხიმინჯების საყრდენი სისტემა ხიდის
სამაღლე ნაშენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა მოსალოდნელი
ვერტიკალური თუ გეორდითი დატვირთვებისაგან. ხიდის ფუნდამენტის
მდგრადობის ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა
DFsap, რომელსაც გააჩნია ხიმინჯის დეფორმაციის გაანალიზების ფუნქცია
ვერტიკალური და გვერდითი დატვირთვის დროს. ხიმინჯის ფუნდამენტის
ყოფაქცევა არის ხსენებული პროგრამის ერთ-ერთი მახასიათებელი ფუნქცია
საძირკველისა და გარემომცველი გრუნტის სამაღლე ნაშენის დატვირთვის
დონესთან დამატებით.

ხიმინჯის ანალიზის შემდგომ ყველა მოთხოვნილი სტაბილურობის საკითხები
შემოწმებულ და დადასტურებულ იქნა DFSAP-ს ყველა ნაჩვენებ შედეგებთან.
ხიდის საძირკველის პროექტის მაგალითია მასთანავე თანდართული სადაც
ნაჩვენებია ყველა სტრუქტურული ინფორმაცია როგორიცაა დასაშვები
დატვირთვა, ზედაპირისცვეთა, მოსალოდნელი ჯდენა და ა.შ. სრული
ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით
ასახულია რის ხიდის გაანგარიშების ფურცლებში თითოეული
საძირკველისათვის მოკლე შემაჯამებელი დასკვნითურთ. შესაბამისად
გეოტექნიკური ანგარიში შემცირებულია მხოლოდ მიწის კვლევის შინაარსამდე.

გამოსახულება 14.1; მოდელირება მიწის პირობების გათვალისწინებით მაგალითისათვის



ანალიზის შედეგი მაგალითისათვის
მდგრადობა ვერტიკალური მიმართულებით

Stability in Vertical Direction

a) Allowable bearing capacity of the pile (+)

$$\text{bearing area of a pile } A_p = I_T x (1.000)^2 / 4 = 0.7791 \text{ m}^2$$

$$R_u = q_d x A_p + U_x L (L_i x f_i) ; q_d = 308 \times N$$

$$308 \times 40 \times 0.7791 + 784.205$$

$$10383.057 \text{ kN}$$

$$W_s = I_T x 1.000^2 / 4 \times 19.00 \times 16.000 = 238.761 \text{ kN}$$

$$W = I_T x 1.000^2 / 4 \times 24.00 \times 16.000 = 301.593 \text{ kN}$$

$$\text{Skin area of pile } U = I_T x 0.996 = 31.29 \text{ m}^2$$

U	N-Value	Soil Type	Soil Depth	f (kN/m ²)	Skin Friction Force (U * f * U)
3.129	40.000	W-Rock	1.253	200.000	784.212
Total	-	-	-	-	784.205

In case of not using bentonite: $f = 5 \cdot N (\approx 200)$

$$R_{a1} = 113.0 \times (10383.057 - 238.761) + 238.761 - 301.593 = 3318.600 \text{ kN (normal)}$$

$$R_{a2} = 112.0 \times (10383.057 - 238.761) + 238.761 - 301.593 = 5009.316 \text{ kN (seismic)}$$

b) Allowable uplift capacity of pile (-)

$$P_a = -1 \ln x P_u + W; P_u: \text{skin friction force (kN), } W: \text{weight of underwater pile}$$

$$W = I_T x 1.000^2 / 4 \times (24.00 - 10.00) \times 16.000 = 175.929 \text{ kN}$$

$$P_{a1} = -1/3 \cdot 0 \times 784.205 + 175.929 = -437.331 \text{ kN (normal)}$$

$$P_{a2} = -1/2 \cdot 0 \times 784.205 + 175.929 = -568.032 \text{ kN (seismic)}$$


c) Evaluation of bearing capacity against applied loads

Cases of Loading		V(max)	V(min)	Ra (kN)	Pa (kN)	Remark
COMBO1	FIX	1420.169	637.746	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1185.506	872.409	3318.600	-437.331	O.K
COMBO2	FIX	1420.169	637.746	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1185.506	872.409	3318.600	-437.331	O.K
COMBO3	FIX	1312.569	685.803	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1092.681	905.691	3318.600	-437.331	O.K
COMBO4	FIX	1312.569	685.803	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1092.681	905.691	3318.600	-437.331	O.K
COMBO5	FIX	1694.374	303.998	5009.316	-568.032	O.K
	HINGE	1620.109	378.263	5009.316	-568.032	O.K
COMBO6	FIX	1694.374	303.998	5009.316	-568.032	O.K
	HINGE	1620.109	378.263	5009.316	-568.032	O.K
COMBO7	FIX	1420.169	637.746	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1185.506	872.409	3318.600	-437.331	O.K
COMBO8	FIX	2139.388	1027.334	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1949.796	1216.926	3318.600	-437.331	O.K
COMBO9	FIX	2139.388	1027.334	3318.600	-437.331	O.K
	HINGE	1949.796	1216.926	3318.600	-437.331	O.K


b(Jbbo2879-GEO: rm3oR.'obo-fлом(JR,'O bof!!ob (>'b(Jr?6>oJC>fiobb>bf:!(J.>r?o)8 'bob m6oR.'obo-
r?7JbJJ0(JOb8fJb0J(JJJ0b(8fJb0J(JJJ0 2) 8fJJ!!()f?fiot>C>(J00b bC>ObtJObf?fJ, d(JbtJ0J!!()(),Ob,8d(Jfi(JR,'")J(Jb
8;f?m(Job!!C>be,'b(JJ!!C>Bb(JJ!!()R,'fJb;;87Jd0FJ(J6o

(g) Stability in Hinged Pile Head

Fixed Pile Head



b) Hinged Pile Head



c) Transverse displacement of the pile

- Estimated displacement for normal condition, $\delta_h = 5.2846 \text{ mm} \therefore 0.1\%$
- Estimated displacement for seismic condition, $\delta_h = 4.9486 \text{ mm} \therefore 0.1\%$

* note : Horizontal movement criteria for bridge pile foundation in terms of displacement magnitude is expressed as $\delta_a = 25 \text{ mm}$.

(National Cooperative Highway Research Program Report 343,
Transportation Research Board, Washington D.C., 1991)

14.2 გზაბამტარი გვირაბი

პროექტის კონსულტანტის მიერ შემუშავებული რკინიგზის გადაკვეთის გეგმა უნდა იყოს ეკონომიური და ტექნილოგიური თვალსაზრისით მისაღები, ასევე, უნდა შეეფერებოდეს გარემო პირობებს, რადგან საპროექტო გზა გადის ამ ტერიტორიაზე.

გზაგამტარის დაგეგმვა შეიძლება მოხდეს ისე, რომ არ იყოს გათვალისწინებული გზაგამტარი გვირაბი, რადგან სამოქმედო ზონაში ჩატარებული ადგილის კვლევების დროს მატარებელი ამ ადგილს გადიოდა დღეში ორჯერ დაახლოებით 40 კმ/სთ სიჩქარით. გზაგამტარი ხიდის დაგეგმარება სულ ადვილად შეიძლება რეგიონული გამოცდილების საფუძვლზე, რომელსაც რკინიგზის ქვეშ გასასვლელის მშენებლობის მეორედი რეალურად არ განუხორციელებია, ხოლო გზაგამტარი გვირაბის დაგეგმარება საკმაოდ რთულია უკვე არსებული და მოქმედი რკინიგზის ქვეშ. თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებებისა, გზაგამტარი გვირაბის აგება აღნიშნულ ტერიტორიაზე გაუმართლებელია როგორც ესთეტიური (მდინარესთან სიახლოვის გამო), ასევე ეკონომიური განხორციელებადობის თვალსაზრისით.

მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიაზე არც გზაგამტარი გვირაბის აგებაა სასურველი (რადგან ნაგებობა თითქმის არ გამოჩნდება) ეკონომიური განხორციელებადობის და ესთეტიური თვალსაზრისით.

ამის გამო, **STA. 4+975.68** კმ-ზე აიგება გზაგამტარი გვირაბი, როგორც სატრუქტურული გეგმა რკინიგზის გადასაკვეთად.

გვირაბები, რომლებიც უნდა აიგოს რეკომენდირებულ ხაზზე:

ცხრილი 14.5: გვირაბის გეგმა

დასახელება	მდებარეობა	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	საგალი ნაწილის სიგანე (მ)	შენიშვნა
გვირაბი 1	PK.45+80	U-ტიპის+გვირაბი+U-ტიპის (100+80+240)	27.4	11.5+11.5	

გვირაბი 2	PK.49+ 75	გვირაბი (10)	35.1	13.0+13.0	
--------------	--------------	-----------------	------	-----------	--

გაბარიტები
ცხრილი-14.6გაბარიტი

ნაგებობა	ინიმალური ვერტიკალური გაბარიტი	
	TEM-ის სტანდარტი	პროექტი
გვირაბი	4.78	5.08

14.2.1 გზაგამტარი გვირაბი გზის ქვეშ(PK.45+80)


კვანძი 2-1-ზე 2 ზოლიანი შემოვლითი გზა უნდა შეუერთდეს არსებულ გზებს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი გეგმის მიხედვით იგი იყო რომბის ფორმის, აქ შეიძლება აიგოს გვირაბი იმ მიზნით, რომ მოეწყოს უფრო დიდი ზომის შემოვლითი გზა, ვიდრე გრძელი ხიდი. ეს გამართლებულია როგორც ესთეტიური, ისე კონომიური თვალსაზრისით.

საანგარიშო დატვირთვა: საანგარიშო სატვირთო მანქანა(LRFD3.6.1.2.2) და საანგარიშო ღერძული დატვირთვა (LRFD 3.6.1.2.3): საანგარიშო ღერძული დატვირთვა შედგება წყვილი 110,000-N ლილვისაგან რომლებიც განლაგებულია 1200 მმ დაშორებით. ბორბლების განივი დაშორებაა 1800 მმ.

ზოლის საპროექტო დატვირთვა: (LRFD 3.6.1.2.4): საპროექტო ზოლის დატვირთვა შედგება $9.3N/mm$ -სგან, რომელიც ერთგვაროვნადაა განაწილებული გრძივი მიმართულებით. განივი მიმართულებით საპროექტო ზოლის დატვირთვა სავარაუდო ერთგვაროვნად იწნება განაწილებული 3000 mm სიგანეზე.


პროექტის სტანდარტი: ნაგებობის პროექტი უნდა მომზადდეს ძირითადად AASHTO LRFD ხიდების პროექტირების სპეციფიკაციების (მე-4გამოშვება, 2007)და ACI318-11-ის საკავშიროებზე

გამოსახულება 14.2: გზის ქვეშ გზაგამტარი გვირაბის გეგმა და განივი კვეთი



მიწისძვრა: საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტის დოკუმენტის-PN 01.01-09- “მიწისძვრის საწინააღმდეგო ნაგებობის” მიხედვით, საპროექტო გზა მდებარეობს სეისმურ ზონაში და სეისმური დარიანობის მიხედვით მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას MSK64 სკალის მიხედვით, მაქსიმალური პორიზონტალური აჩქარების (არამეტრული სეისმური კოეფიციენტი-A) სიდიდით, თბილისში-0.17,4

გამოსახულება 14.3: ნიადაგის ფენაკვლევის მიხედვით



ნიადაგის გამოცვლის სამუშაოები: ნიადაგის კვლევის თანახმად ფენა ნაჩვენები 14.2- გამოსახულებაში შედგება სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენისაგან დაუნდა შეიცვალოს შესაფერისი მასალით, წყლით კონტროლირებადი ტკეპნით ფენა-ფენა, ისევე როგორც მზადდება ნორმალური ყრილი.

14.2.2 გზაგამტარი გვირაბი რკინიგზის ქვეშ (PK. 49+75)

ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული და მისაღები ნაგებობის ტიპისა და სამშენებლო მეთოდის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მატარებლის უსაფრთხო მოძრაობას მშენებლობის პროცესში. ამიტომ, საჭიროა ისეთი ფართოდ გავრცელებული სამშენებლო მეთოდის გაცნობაეკონომიური, მშენებლობის ტექნოლოგიური მეთოდის, უსაფრთხოებისა და გვირაბის მოძრაობის პუნქტუალობის თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება შერჩეულ იქნას მოცემული ადგილისთვის.


საჭიროა შემდეგი ინფორმაციების მოპოვება:

- (1) მატარებლების მოძრაობის სიხშირე;
- (2) მატარებლის სიჩქარის შემცირების შესაძლებლობა;
- (3) ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობა რკინიგზის ბლოკირებისათვის;
- (4) რელსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგება და შპალების შემადგენლობა;

შაპროექტო სტანდარტი: მონაკვეთი 2-თვის პროექტის კონსულტანტმა გადაწყვიტა შემოეტანა საყოველთაოდ მიღებული საპროექტო სტანდარტი AREMA (American Railway Engineering and Maintenance-of-way Association) (ამერიკის სარკინიგზო ინჟინერიისა და ექსპლუატაციის ასოციაცია) ბ30რაბის პროექტისთვის მატარებლის დატვირთვის შესარჩევად. აგებობის ნაწილების პროექტირება ძირითადად მოხდება AASHTO LRFD Bridge Design Specification (4th Edition, 2007) (ხიდის პროექტის სპეციფიკაცია, მე-4 გამოცემა) და ასევე, საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების საფუძვლზე.


საპროექტო დატვირთვა: გვირაბი რკინიგზის ქვეშ დაპროექტებულია Cooper E-80 (EM 360) ღერძული დატვირთვით AREMA - ს მიხედვით. საანგარიშო მატარებლის ლილვების დაშორება დაწონა გამოსახულია შემდეგი ციფრებით. საანგარიშო ლილვი შედგება 360kN ლილვებისგან 1500 მმ დაშორებით თითოეულ ლიანდაგზე.

გამოსახულება 14.4 CooperE-80 (EM 360) ლერძული დატვირთვა



საპროექტო დატვირთვა აგრეთვე შედარებულია SNIP -ს რეგულაციებთან. მოძრავი შემადგენლობიდის დატვირთვა, თუ მატარებლის საპროექტო სიგრძე შედგება 8 ბორბლიანი ვაგონებისაგან, თითოეულ სარკინიგზო ლიანდაგზე შეადგენს 588kN(60tf). როდესაც ზემოქმედების ხაზი იტვირთვა თრი ან მეტი მსგავსი ნიშნით, სხვა-გამყოფი ნიშნების მონაცემზე ცარიელი ვაგონის დატვირთვა თითოეულზე უნდა შეადგენდეს 294 kN (30 tf)

გამოსახულება 14.5: მატარებლის დატვირთვა SNIP-ის რეგულაციების თანახმად



მიწისძვრა: საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტის დოკუმენტის – PN 01.01-09- “მიწისძვრის საწინააღმდეგო ნაგებობის” მიხედვით, საპროექტო გზა მდებარეობს სეისმურ ზონაში და სეისმური დარიანობის მიხედვით მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას MSK64 სკალის მიხედვით, მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (არამეტრული სეისმური კოეფიციენტი-A) სიდიდით, თბილისში – 0.17, რუსთავში – 0.12.

დაგეგმარებული გვირაბის სიგრძეა 10.0მ, სიმაღლე 4.8მ და სიგანე 3.5მ. მასში უნდა განთავსდეს ორ ზოლიანი საფალი ნაწილი და ერთ ზოლიანი გვერდული.

სამშენებლო სამუშაოები გაიმართება შპალების ქვეშ, ამიტომ საჭიროა მიწისქვეშა გაყვანილობების – წყალსადენების, გაზსადენების და ნავთობსადენების, ასევე ადგილზე არსებული ელექტრო გადამცემი ხაზების გამოკვლევა, რათა ადგილობრივ მაცხოვრებლებს არ შეექმნათ პრობლემები.

არსებული შპალების ქვეშ გადაკვეთის ორი ძირითადი გეოტოლი არსებობს რაც ამ პროექტში იქნება შემოთავაზებული – ღია ჭრილი და მიწისქვეშა გვირაბის გაყვანა. როექტის კონსულტანტმა უნდა შეარჩიოს რომელია უფრო


ეფექტური და ადვილი მეთოდი სამშენებლო სამუშაოების წარმოებისა და
ტერიტორიის კონტროლისთვის, განსაკუთრებით წვიმის შემთხვევაში.


ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული და მისაღები ნაგებობის ტიპისა და
სამშენებლო მეთოდის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მატარებლის
უსაფრთხო მოძრაობას მშენებლობის პროცესში. ამიტომ, საჭიროა ისეთი
ფართოდ გავრცელებული სამშენებლო მეთოდის გაცნობა ეკონომიური,
მშენებლობის ტექნოლოგიურობის, უსაფრთხოებისა და გვირაბის მოძრაობის
პუნქტუალობის თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება შერჩეულ იქნას მოცემული
ადგილისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტანტის მიერ შემოთავაზებულია დია ჭრილის
მეთოდი დროებითი ხიდის მეთოდის გამოყენებით, კონტრაქტორს შეუძლია სხვა
მეთოდის შერჩევა. სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა ზედამხედველს
უნდა წარუდგინოს შერჩეული მეთოდის დოკუმენტაცია და სამუშაოების
წარმოების გეგმა, სამუშაო ნახაზებსა დახელსაწყოების მოცელობასთან
ერთად, მოითათბიროს მასთან ერთად, რათა რკინიგზის მფლობელისგან მიიღოს
თანხმობა სამუშაოების ჩატარებაზე.

ამიტომაც დია ჭრილის მეთოდი (დროებითი ხიდის მეთოდი) განიმარტება
შემდეგნაირად:

გამოსახულება 14.6 კინიგზის ქვეშასაგებიგვირაბის გეგმადა გრძივიკვეთი






(1) დია ჭრილის მეთოდი (დროებითი ხიდის მეთოდი)

შავრდენი ხიმინჯები და გრძივი კოჭები მონტაჟდება ლიანდაგის გარეთ, ამის შემდეგ უნდა მოხდეს არსებული ლიანდაგების დემონტაჟი და ექსკავაცია, შემდგომ მონტაჟდება განივი კოჭები რომელზეც მოეწყობა ახალი ლიანდაგები მატარებლის განრიგის ინტერვალში.

მას შემდეგ, რაც დროებითი ხიდი ლიანდაგებით ბოლომდე იქნება მოწყობილი და მატარებლის შეუფერხებელი მოძრაობა იქნება უზრუნველყოფილი დაიწყება ხიდის ქვეშ ჭრილის ექსკავაცია, რათა განთავისუფლდეს ადგილი და აშენდეს ხიდქვეშა გზაგამტარი გვირაბი


სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა დაიშალოს არსებული რკინიგზა და მოეწყოს დროებითი ხიდი მატარებლებისთვის, შემდეგ კი უნდა დამუშავდეს რკინიგზის ქვეშ არსებული ყრილის გრუნტი და აიგოს გვირაბი.

გამოსახულება 14.7 დროებითი ხიდის მეტოდის მონახაზი




კონტრაქტორს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა მეთოდის გამოყენების შემოთავაზება რომელიც იქნება განსხვავებული პროექტის კონსულტანტის მიერ შემოთავაზებული მეთოდისაგან.

გამოსახულება 14.8: დროებითი ხიდის მეოდეის მთავარი გუგმა




b(Jbbo2879-GEO: rm3oR.'obo-fлом(JR,'O bof!!ob (<'b(Jr?6>oJC.>fiobb.>bf:!(J.>r?o)8 'bob m6oR.'obo-
r??JbUJ0(JOb8fJb0J(JUJ0b(8fJb0J(JUJ0 2) 8fJJ!!()f?fiot>C>ObtJOb?fJ, d(JbtJ0J!!()(),Ob,8d(Jfi(JJR,'")J(Jb
8;;f?m(Job!!C>Bb(JJ!!()R,'Jb;;87Jd0f'J(J6o

გამოსახულება 14.9: სენიტლობის თანმიმდევრობის მთავარი გეგმა



rJbbn2879..(JE0:m6nR,>nbn-f'n07JR,Jn bnf!!nU (>'bJrf!6MJ(>bnb <'bJ<>rfln)O'bnbm6nR,>nbn-
 rfl!,JU07<>J0U8('b<>JJ(J070U (8('b<>JJ07n2) 8('J!!(Jrf!En'b<>(JnnbUMbtJnbrf!(', '8JUtfOf!!JJ6nb, 8'8JEJ6R,J('6nb
 8<>rfl07Jnb f!!<>b>'bJf!!J(JR,'b>8'Jf)c,(J6n



8.:>**1**'do8Do⁽ⁱ⁾.:>G J(')El()({}.:>j()(')(i)o 8(').:>89:>.:>;]2>**1**"1.:>'do81(<)'ZJ:J2>(')"(as-built)
b.:>b.:>9:>;]2>1.:>8'd;]El:J2>(')2>o**1**;]{}.:>'ZJ({}m.:>5.:>808;]3(<')2>;]2>**1**(i)(')8;] OG
Oll>OOiIO-'TOOJ:JObOll!Ob (.!bDetJl>.!O'lo: !601lb.!tbl/.3.!ctJO)b.!l3 C'JBC'Jl>O C'J Z.!OiOll>OOiIO-etJ'm>Ol.!3011 ilC'J6.!J3DOJOb ilC'Jil!DetJ60'b.!OO.!l

უზრუნველყოფს მატარებლის შეუფერხებელ მოძრაობას მშენებლობის დროს,
კონტრაქტორმა, დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია
რკინიგზის დეპარტამენტსა და მშენებლობის ზედამხედველს.

მნიშვნელოვანია რომდაიგეგმოს მატარებლების განრიგი მშენებლობის
პერიოდში, კონტრაქტორმა უნდა წარადგინოს საშემსრულებლო ნახაზები და
გაიაროს კონსულტაციები რკინიგზის დეპარტამენტთან დეტალურ სამშენებლო
გეგმასთან მიმართებაში, ვინაიდან უზრუნველყოფილ იქნას მატარებლების
შეუფერხებელი მოძრაობა, ამისათვის კონტრაქტორმა უნდა მოიძიოს შემდეგი
ინფორმაცია:

- (1) მატარებლების განრიგის თანამიმდევრობა.
- (2) მატარებლის სიჩქარის შემცირების შესაძლებლობა.
- (3) ლიანდაგის ბლოკირებით მშენებლობის შესაძლებლობა.
- (4) ლიანდაგის მდგომარეობა, როგორიცაა ვერტიკალური და
ჰორიზონტალური წყობა და ლიანდაგის საფუძველის მდგომარეობა.

საქართველოს რკინიგზის ოფიციალური წერილი გზაგამტარგვირაბთან
დაკავშირებით თანდართულია კონტრაქტორისათვის

საქართველოს რკინიგზის ოფიციალური წერილი №4925 დათარიღებული
2013 წლის 15 ივნისით, მოცემულია [დანართ 8-ში](#)

850

m::Jn:J0 24/06/2015' » |j No1383' J[J<'1 ob 3..N<.b : ..M|10, 1!,(•J 'Jtif•\V,-,1{"1'
t>\))i10!)()bCll:J&..b<:">f":)J m:kl"<lio-!li>bo3:,1Ju.)Op:t:o(CW>**f'**)b:,t'9j)ob23>14
c₁₁,)35-&,eG MJm.3MC'l:|dor.b3 b->6.;J6.-<"obade!G)ll:att;6Jt\'''
tmro)O:J:X:h:t ,'). .).tlb<)IJ3.00.0461'bt,wn:JuW:,?a!l<; ,o(O"Ol:•l0)bot:l_Iti;Ji)ob'a'f **o b**.
'3)1Q?lio6M:nb&l:ja;olO.)MaM:?.oJ ::)M**o o:!!i**)!X.f>a(")(t,IC,05t100bb'TJt.P:O'J3)Mb
t4JO!X,b.:&d'cr'!l)**b c** ."<!.)

oomoo 3Q?00> **5n'Gl** &||5.-,3."uj»ti.Jot};**3ftl.i.)**; t?"l); O.'fJnt; .-ml⁴,**l'AIC**
t'> ,toL:

1. (Sot-oo-) . : Cox[V0].r"J.I.;J"t.x."lt,J;J!,"h:R)u(J:lf16);
ig3O tlo&f:cn;,:?Jb]&o<n6C/40,j.l.,-;

2. -D-hr- <sf,)C3P:-J6.1,0m"2o 1.J::'ae:)ub(id:, li631'Ma.n -19jo;,).

3. 'O'bo>b a":1\>d>n <!?"xla:Jil> t>5"Y.J"" a:>:J
i!J!YJp;JE<!(0h-.tk-17,h'l()aoctq>;,•32.

4. ვაკინტების სისახური - არაუმტირეს 3250 გვ., სიმაღლე რელისის თავიდან - არაუმტირეს 5300 გვ.

5. მანძილი ლიანდაგის დერმიდან მეორე ლიანდაგის დერძამდე - არანაკლებ 4100 მმ
სწორ უბნებზე, მრუდებში კიდევ უფრო იზრდება რადიუსის სიმცირის მიხედვით (ამ
ადგილისათვის დაახლოებით გაიზრდება + 550 მმ);
6. რელსის სიგრძე პირაპირიდან პირაპირამდე 25 მ;
7. სამგზავრო და სატვირტო მატარებლების მინიმალური სიჩქარე დატვირტულ
მდგომარეობაში 15 კმ/სთ.

ინფრასტრუქტურის დირექტორი

გ. გურამიშვილი

შემსრულებელი: კახა კასარელი, ტელ. 591190779

ოფიციალური წერილის მიღების შემდგომ, 2013 წლის 6 აგვისტოს პროექტის
კონსულტანტი ეწვია საქართველოს რკინიგზას რათა კონსულტაციები გაეარა
გზაგამტარ გვირაბთან დაკავშირებით. რკინიგზის წარმომადგენლებმა უპასუხეს
კონსულტანტს, რომ დეტალური საკითხები განხილულ უნდა იქნას უშუალოდ
მშენებლობის პერიოდში, კონტრაქტორის მიერ მომზადებულიდა მგზის მიერ
დამოწმებული სამუშაო ნახაზების მიღების შემდგომ.

15. წყალგამტარი მილები

გზის სავალინაწილიდან ზედაპირული წყლების მოშორების მიზნით პროექტით
გათვალისწინებულია სანიაღვრეწყალამრიდი ქსელის მოწყობა საპროექტო გზის
კმ 4+000-დან კმ 4+480-მდე და კმ 5+000-დან კმ 9+520-მდე მონაცემებზე.
კმ 4+480-დან გ 5+000-მდე მონაცემებზე 5+000-მდე მონაცემებზიგ გზის სავალინაწილიდან წყლის
მოცილების სამუშაოები ჩართულია კმ 4+620-ზე გათვალისწინებული
სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოებში.

წყალამრიდი ქსელის მოწყობის სამუშაოებით გათვალისწინებულია
ლითონის ცხაურიანი რკინაბეტონის სანიაღვრე მიმღები ჭების მოწყობას ავალი
ნაწილის ნაწილი ბეტონურებზე ბორბოტურის ბორდიურებზე ბორბოტანანგამყოფი ზოლის
პარაპეტებზე (სავალინა წილი სგანივი ქანობიდან გამომდინარე) საშუალოდ ყოველ
50 მ-ში.

სანიაღვრუ-წყალმიმღები ჭებიერთმანეთთან დაკავშირებულია დ-0.6 მ
პლასტმასის გოფრირებული მიღებით. წყალამრიდი ქსელის ყოველი მონაცემთა
ბოლო სანიაღვრე ჭიდან წყალია სევე პლასტმასის მიღლით გადაედინება ძირითადი
გზების თვის დაპროექტებულ წყალგამტარ მიღებით.

სულ წყალამრიდი ქსელის თვის მოსაწყობია 246 ცალის ანიაღვრუ ჭა, მათ
შორის 236 ცალი ტიპი I და 10 ცალი ტიპი II (სანიაღვრე ჭაგვერდმიმღებით).
პლასტმასის გოფრირებული მიღების საერთო სიგრძე შეადგენს 8280 მ-ს.

სანიაღვრუ-წყალამრიდი ქსელის განლაგების სქემა ნაჩვენებია ნახაზებზე,
სამუშაოთა მოცულობები შესაბამის უწყისში.

16. საყრდენი კედელი

16.1 შესავალი

საყრდენი კედელი არის ნაგებობა, რომელიც აკავებს ნიაღაგს ხელოვნურ
ქანობზე. ამ პროექტში იგი გამოიყენება როგორც საზღვარი ორ სხვადასხვა
სიმაღლეზე არსებულ ნიაღაგს შორის, განსაკუთრებით მდინარის პირა
ადგილებში, სადაც დაპროექტებულია გზატკეცილის ზემოდან
გადასასვლელის თვის.

შესაფერისი საყრდენი კედლის შერჩევა დაფუძნებულია საპროექტო
დატვირთვაზე, საძირკვლის საყრდენების ადეკვატურ სირდმეზე, გარემოსათვის
მავნე ფაქტორების არსებობაზე, ტერიტორიის ფიზიკურ შეზღუდვებზე, განვით
კვეთების გეომეტრიაზე, როგორც არსებულისა აგრეთვე დაგეგმილის, ჯდენის
პოტენციალზე, სასურველ ესთეტიკურობაზე, კონსტრუქციულობაზე,
ექსპლუატაციაზე და დირექტულებაზე.

საყრდენი კედლის გამოყენებული საყრდენი კედლები კლასიფიცირდება
როგორც მტკიცე გრავიტაციული და ნახევრად გრავიტაციული კედლები,
რომლებიც ეფექტურია როგორც ჭრილის კედლის ასევე ყრილის კედლის
განთავსების თვის. ნახევრად გრავიტაციული კედლები ეყრდნობა თავის
შემაღებელ კომპონენტებს, რათა მობილი ზება გაუკეთოს უკანა შემავსებლის
წონას დაპქონდეს შესაძლებლობა გაუძლოს გვერდულ დატვირთვებს.

მონაცემთი 2-ის პროექტში გამოყენებულია რკინაბეტონის კონსოლური
ნახევრად გრავიტაციული ბეტონის საყრდენი კედელი და კონტრფორსული
ბეტონის საყრდენი კედელი ეკონომიური და სამშენებლო ტექნიკურობის
თვალსაზრისით. ონსოლური ნახევრად გრავიტაციული ბეტონის საყრდენი
კედელი განთავსდება 4-8 მეტრის სიმაღლეზე და კონტრფორსული ბეტონის
საყრდენი კედელი - 9-13 მეტრის სიმაღლეზე.

ძირითადად, სტრუქტურული და კონომიური ეფექტურობა სრულად არის შერწყმული მდგრადობასთან, უსაფრთხოებასთან და გამძლეობასთან. სადრენაჟო სისტემა აგრეთვე დაპროექტებულია რეგიონალურ მახასიათებლებთან თანხმედრით, სადაც ყოველ გაზაფხულს თოვლის უხევ დნობაა.

16.2 საყრდენი კედელი-დეტალური აღწერილობა

16.2.1 საყრდენი კედლის ცლასიფიკაცია

(1) ბეტონის მკიცე გრავიტაციული საყრდენი კედელი ($H=2.5\sim 5.0\text{მ}$)

ძირითადად გამოიყენება იმ სიტუაციებასა და პირობებში სადაც: საძირკველი შედგება მკვრიცი ან კლდოვანი გრუნტსაგან, სადაც უკვე არსებობს გრავიტაციული კედელი და სასურველია, რომ ახალი კედელი იყოს ტიპიური არსებული კედლისა ესთეტიურის თვალსაზრისით ან სადაც კედელი შეიძლება დაპროექტებული იყოს მაქსიმალური სიმაღლით 5მ. მიწისძალების გაძლების მხრივ იგი დამოკიდებულია საკუთარ წონაზე და ნიადაგის ბეტონზე დაყრდნობაზე. მონოლითური კედლები ძირითადად ჩამოსხმულია ადგილზე

(2) რკინა ბეტონის ნახევრად-გრავიტაციული საყრდენი კედელი ($H=3.0\sim 5.0\text{მ}$)

ნახევრად გრავიტაციული საყრდენი კედელი გრავიტაციული კედლის სპეციალიზირებული ფორმაა. იგი შეიცავს დაძაბულ არმატურას რათა შემცირებულ იქნას კედლის სისქე ვრცელი არმირების გარეშე. ს არის ნაზავი გრავიტაციული და კონსოლური კედლების პროექტებისა.

(3) რკინაბეტონის ნახევრად გრავიტაციული კონსოლური კედელი
($H=4.5\sim 8.0\text{მ}$)









კონსოლური საყრდენი კედლები მზადდება არმირებული ბეტონისაგან .იგი შედგება თხელი ტანისა და საბაზო ფილისაგან. საბაზო ფილა გაყოფილია ორ ნაწილად «ქუსლი» და «ცერი». «ქუსლი» არის ბაზის ნაწილი, რომელიც მოქცეულია შემავსებლის ქვეშ, ხოლო «ცერი» არის ბასის მეორე ნაწილი. ამ კედლისათვის გამოიყენება ბევრად ნაკლები ბეტონი ვიდრე მონოლითურ გრავიტაციულ კედლებში, მაგრამ მოითხოვს მეტ პროექტირებასა და ფრთხილ შენებლობას. ძირითადად იგი ეკონომურია იმ შემთხვევაში თუ მისი სიმაღლე არ აღემატება 8-ს, ხოლო უფრო მაღალი კედლის შემთხვევაში იზრდება მისი ტანის სისქე და კონტრფორსული კედელი ნაცვლად კონსოლურისა ხდება უფრო მისაღები.

(4) არმირებული ბეტონის კონტრფორსული ნახევრად გრავიტაციული კედელი ($H=8.0\text{მ}-9\text{ე} მაღალი)$

კონტრფორსული საყრდენი კედლები მსგავსია კონსოლური საყრდენი კედლებისა გარდა იმისა, რომ მათ გააჩნიათ თხელი ვერტიკალური ბეტონის ქსელი თანაბარი ინტერველებით კედლის უკანა მხარის გაყოლებაზე. სენტებული ქსელი ცნობილია როგორც კონტრფორსი. კონტრფორსი კრაგს ბაზასა და ფილას ერთად და მისი დანიშნულებაა რომ შეამციროს ნიადაგით

გამოწვეული გადანაცვლების ძალები დაღუნვის მომენტი. ეორადი ეფექტია რომ გაიზარდოს კედლის წონა ბეტონის დამატებით. კონტროლსული საყრდენი კედელი კონსოლურზე ეპონომიურია მაშინ როდესაც მათი სიმაღლე არის 8დან 15-მდე.

ცხრილი 16.1 საყრდენი კედლის კლასიფიკაცია

აღწერილობა	
(1) ბეტონის მტკიცე გრავიტაციული საყრდენი კედელი ($H=2.5\sim 5.0\delta$)	 
(2) რკინაბეტონის ნახევრად- გრავიტაციული საყრდენი კედელი ($H=3.0\sim 5.0\delta$)	 
(3) რკინაბეტონის ნახევრად გრავიტაციული კონსოლური კედელი ($H=4.5\sim 8.0\delta$)	 
(4) არმირებული ბეტონის კონტროლსული ნახევრად გრავიტაციული კედელი ($H=8.0\delta$ - ზე მაღალი)	 

16.2.2 საყრდენი კედლის უკანა შემავსებლის დრენაჟი

არსებობს აუცილებლობა, უკანა შემაგებლის წვიმის წყლებისაგან მიწის წყლებისაგან დაწურვისა, ვინაიდან პიდროსტატიკურმა წნევამ შეიძლება გამოიწვიოს კედლის წაქცევა ან დაზიანება.


წყლის დრენაჟირება გამოწვეული წვიმებისა თუ სხვა პირობების გამო არის მეტად მნიშვნელოვანი საყრდენი კედლის მდგრადობისათვის. შესაბამისი დრენაჟირების გარეშე უკანაშემავსებელი შეიძლება გაიყდინოს, რაც გამოიწვევს ორმაგ უარყოფით ზემოქმედებას კედელზე, კედელზე წნევის ზემოქმედების მომატებას და შემავსებლის დაცურების საწინააღმდეგო შესაძლებლობების შემცირებას. მარცვლოვანი შემავსებელი უზრუნველჲოფს კარგ დაწურვას, ადგილ დატემკვას და კარგ გამდლეობას დაცურების მიმართ.

სადრენაჟო სისტემებში ძირითადად გამოიყენება საწრეტი მილები და სადრენაჟო ხაზები.

საწრეტი მიღები უზრუნველპოვენ საყრდენი კედლის უკანა მხარის დაუყოვნებლი დაწრეტას საწრეტი მიღები უნდა იყოს მინიმალური თავისუფალი დაწრეტგისათვის. შესაბამისი მანძილი საწრეტ მიღებს შორის კედლის უკანა მხარის მუდმივი დაწრეტს საშუალებას იძლევა. შაწრეტ მიღებში უნდა იყოს რაიმე სახის საფილტრაციო მასალა რათა შეაჩეროს რბილი გრუნტების მიგრაცია, საწრეტი მიღების გაჭედვა, შემავსებლის დაკარგვა და ისტოქების წარმოქმნა.

სადრენაჟო ხაზები ხშირად გაბურლულია და შეხვეულია გეოტექსტურ მასალაში ან ჩაფლულია ფილტრაციის მარცვლოვან ფენაში დაემსახურება შემავსებლის სირდმეებიდან წყლის საწრებ მიღებაში გამოდინებას.

გამოსახულება 16.1 სადრენაჟო სისტემის საერთო წარმოდგენა



ამ პროექტში მანძილი საწრებ მიღებს შორის გათვალისწინებულია საშუალოდ 1.5მ გრძივად და 1.5მ გვერდულად. თავისუფალი დაწრებულისათვის საწრები მიღების დიამეტრი 50 მმ-ია. საწრებ მიღებს გააჩნიათ საფილტრაციო მასალა კედელსა და შემავსებელს შორის, რომელიც შედგება ტომრებში გახვეული დაღორდილი ქვის ნაყარისაგან რათა შეაჩეროს რბილი გრუნტების მიგრაცია, საწრები მიღების გაჭედვა, შემავსებლის დაკარგვა და გამოქვაბულების წარმოქმნა.



16.3 საყრდენი კედლის შედარება

მე-2 მონაკვეთისათვის საყრდენი კედლის შედარება მოხდა იმ მიზნით, რომ
არჩეულიყო უფრო ეკონომიური კედლის ტიპი.

მომდევნო ცხრილში მარცხნივ წარმოდგენილია საერთაშორისო ინჟინრის მიერ
დაპროექტებული საყრდენი კედელი, ხოლო მარჯვნივ არის წარმოდგენილი
«ტრანსპროექტი»-ს მიერ წარმოდგენილი კედელი რომელიც ფართოდ გამოიენება
საქართველოში. ვინაიდან ტრანსპროექტის ინჟინრის მიერ წარმოდგენილი
კედლის სიმაღლე 12მ-ია შედარება მოხდა ხოლო დაპროექტებულ და
შემოთავაზებულ კედლებს შორის 12 მეტრიანი კედლის შემთხვევაში.

კონომიურობის ასპექტში, მოხდა ოპტიმალური პროექტის მასალის მოცულობის
შედარება არმირებასთან მიმართებაში.

ცხრილი 16.2 საყრდენი კედლის შედარება (20.08-ის სიგრძის ბლოკისათვის)

დოპგას მიერ დაპროექტებული კედელი	ტრანსპროექტის მიერ წარმოდგენილი კედელი
	
ბეტონის მოცულობა(მ³)	
399.6	646.1
(შემცირება: 246.5მ³, 38.1%)	
არმირება (ტონა)	
33.75	49.6
შემცირება: 15.85 ტონა, 31.9%)	

ნაჩვენებიდანინჯინრებისათვისნათელიხებათურომელისაყრდენიკედელი უფრო
მისაღებია ეკონომიურობის თვალსაზრისით ბეტონისა და არმირების


მოცულობათა მიმართებაში. შედარების ცხრილი გვაჩვენებს, რომ საერთაშორისო ინჟინერმა შეამცირა ბეტონის მოცულობა 38%-ით ხოლო არმატურის მოცულობა 32%-ით.

16.4 საყრდენი კედლის პროექტი

4~8მ-ის სიმაღლის საყრდენი კედლისათვის გამოყენებულია კონსოლური ნახევრად გრავიტაციული ხოლო 9~13მ-ის სიმაღლის მქონე კედლისათვის გამოყენება ბეტონის კონტრაფორსული საყრდენი კედელი.

შავრდენი კედლის სიგრძე მდინარის პირას არის დაახლოებით 1.9 მდა ყრილზე – 1.1 კმ

გამოსახულება 16.2 საყრდენი კედლის მშენებლობის ზოგადი წარმოდგენა (ყრილი)




ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საყრდენი კედლის სიმაღლე მისი მდებარობის მიხედვით მდინარის პირას:

ცხრილი 16.3: მდინარის პირა საყრდენი ქედლის გეგმა

მდებარეობა	PK45+80 ~ PK46+00 ~ PK46+05 ~ PK46+15 ~ PK46+20 ~ PK46+50 ~ PK46+60 ~ PK46+95 ~ PK47+100
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	5 6 7 8 9 7 6 5
მდებარეობა	PK50+10 ~ PK50+20 ~ PK50+25 ~ PK50+35 ~ PK50+50 ~ PK62+00 ~ PK63+40 ~ PK65+80 ~ PK67+400
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	6 7 10 12 11 12 13 12
მდებარეობა	PK67+40 ~ PK67+50 ~ PK67+55 ~ PK67+60
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	11 8 5

გამოსახულება .16.2 საყრდენი კედლის მშენებლობის ზოგადი წარმოდგენა (მდინარის ნაპირი)



ქვემოთმოცემულცხრილშიწარმოდგენილიასაყრდენიკედლისსიმაღლე მისი
მდებარობის მიხედვითყრილზე:

ცხრილი 16.4 ყრილის საყრდენი კედლისგეგმა

მდებარეობა	PK45+35 ~ PK45+60 ~ PK45+80 ~ PK46+00 ~ PK46+10					
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	8	6	5	4		
მდებარეობა	PK64+00 ~ PK64+10 ~ PK64+60 ~ PK65+30 ~ PK66+65 ~ PK66+70					
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	5	6	7	8	7	
მდებარეობა	PK74+20 ~ PK72+92	PK78+00 ~ PK79+76	PK79+84 ~ PK80+29 ~ PK81+49 ~ PK81+60			
საყრდენი კედლის სიმაღლე (მ)	5	8	7	6	5	

მშენებლობის მეთოდი: იმის გამო, რომ საყრდენი კედლების განთავსება ძირითადად მდინარის პირას ხდება, საჭიროა დროებითი კესონის გათვალისწინება მშენებლობის პერიოდისთვის, ხოლო შემდგომ, კედლის ექსპლუატაციის დროს, აუცილებელია გათვალისწინებული იყო სეროზიის საწინააღმდეგო სისტემა.

კესონები, რომელთა განლაგება მოხდება დაღორდილი ქვით სავსე ტომრების სახით, შეაკავებს წყლის დინებას სამშენებლო ტერიტორიაზე.

ეროზიის საწინააღმდეგო შისტემა იქნება სადრენაჟე პრიზმის სიმაღლის ბეტონის ფენა, რომელიც განთავსდება საყრდენი კედლის წინ მას შემდეგ, რაც დასრულდება არმირებული ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა.

17. ფეხით მოსიარულეთა მენეჯმენტი და საზოგადოებრივი ტრანსპორტი

17.1 ფეხით მოსიარულეთა მენეჯმენტი

თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მე-2-ე მონაკვეთის (ფონიქალის დასახლებისფარგლებში) საპროექტო დოკუმენტაციაში ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებულია გზის ორივე მხარეს ტროტუარების მოწყობა (დასახლებული ზონის ფარგლებში), ფეხით მოსიარულეთა გზაზე ტრადიციული გადასასვლელების ადგილებში გათვალისწინებულია საფეხმავლო გადასასვლელი ხიდებისმ ოწყობა, ხოლო ადგილობრივი მოძრაობის გზებზე ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნა (ზებრა) დაშესაბამისი საგზაო ნიშნებით აღჭურვა. საპროექტო გზის მთელ მონაკვეთზე გათვალისწინებულია ნორმების შესაბამისი შემოფარგლვა, გზის მონიშვნა და საგზაო ნიშნების კომპლექტი, რაც სრულად უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას.

თბილისი-რუსთავის მე-2-ე მონაკვეთის (ფონიჭალის დასახლების ფარგლებში) საავტომობილო გზის პროექტირებისას გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ გზა უნდა იყოს მაღალი გამტარობის ჩქაროსნული მაგისტრალი, რომელიც ფაქტიურად გახდება ქვემო ფონიჭალის და სახლების ძირითადი ნაწილის შემოვლითი გზა.

17.2 საზოგადოებრივი ტრანსპორტი

პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის შემდეგ გზის გასწვრივ მნიშვნელოვნად შეიცვლება როგორც არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის რეჟიმი, მაგრამ პრაქტიკულად უცვლელად რჩება დღეისთვის არსებული სამგზავრო-სატრანსპორტო დერეფანი არსებული გზის სახით, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მარშრუტების ავტომატიზირებული მომავალშიც.

როგორც აღვნიშნეთ, ფეხით მოსიარულეთათვის პროექტით გათვალისწინებულია ტროტუარების და საფეხმავლო გადასასვლელი ხიდების მშენებლობა, ხოლო დამატებით ავტობუსების გასაჩერებელი ადგილები

შექმნილი სიტუაციის მიხედვით განისაზღვრება და მოეწყობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

18. კომუნიკაციების რელოკაცია

კონსულტანტი დაუკავშირდა პროექტის ტერიტორიაზე არსებულ კომუნიკაციებზე პასუხისმგებელ სხვადასხვა კომპანიებს და ჰქონდა შეხვედრები კომუნიკაციების გადატანის სამუშაოსთან დაკავშირებით. კონსულტანტმა საპროექტო ობიექტის ტერიტორიისთვის მოამზადა კომუნიკაციების გადატანის პროექტი.

ცხრილი 18.1: კუმუნიკაციებზე პასუხისმგებელი კომპანიებისა და კომუნიკაციების გადატანის საპროექტო კომპანიების ნუსხა საპროექტო ტერიტორიაზე.

N	კომპანიის სახელი	კომუნიკაციის ტიპი	კომუნიკაციისგადატანისაღწევრილობა
1	ყაზბეგ-ობილისი	გაზსადენი	არსებულიგაზსადენისD300-ისგადაადგილებაPK80+00-PK85+10 არსებულიგაზსადენისD200ისგადაადგილებაPK85+10-PK92-40
2	GWP	ჰალმომარაგება და კანალიზაცია	არსებულიწყალმომარაგებისმილებისადა კანალიზაციისგადაადგილებაPK40+00-PK105+75
3	ფორტროუზ ჯორჯია	ელექტროგადამც ემისაზები	ორი6KV-იანი,N36დაN43საყრდენების გადაადგილება4+700-4+800
4	სსოელასი	საყრდენიანდა	ორი110KV-იანიN11დაN13საყრდენებისგადადგილება PK70+60-PK73+40
5	GSE	საყრდენიანდა	ხუთისაყრდენისN93,N94N95,N96andN97atPK70+60- PK80+60
6	GMP	ტრასფორმატორი	სპ-სმეებავიება-სდააღრიცხვიანობისკარადის გადადგილება PK7+860-PK8+000
7	ენერგო-პრო Georgia	ელექტროგადამც ემისაზები /საყრდენი ანძები/გადამცემ იბომები	N1დაN2-სშორისარსებულიეროი110KV-იანი საყრდენიანდისგადაადგილებაPK47+00-PK48+00. ქვესადგურული«ფონიჭალა»-დანგამომავალი6KV-იანი გადამცემისაზისგადასაადგილებელიბომებიPK40+00 to10+500: # 8;9;10;10.2/1;10/2/2;10/2/3;11;12;17;36;37;38;39;40;41. არსებულირვასპ-01050.4KV-იანიგადამცემისბოძის გადაადგილება არსებულიოცდაექესისპ-01030.4KV-იანიგადამცემის ბოძისგადაადგილება. არსებულიშვილისპ-01080.4KV-იანიგადამცემისბოძის გადაადგილება

8	ქავებაზუს ონლაინ	ოპტიკური კაბელი	ერთისაკომუნიკაციოარხისგადადგილებაPK4+000-PK5+000 ერთისაკომუნიკაციოარხისგადადგილებაPK8+000-PK107+75
9	სილქნეები	ოპტიკური კაბელი	ორისაკომუნიკაციოარხისგადადგილებაPK4+000-PK5+000 ექსისაკომუნიკაციოარხისგადადგილებაPK8+000-PK107+75
10	CGC	ოპტიკური კაბელი	არსებულიოპტიკურ-ბოჭკოვანიკაბელი«OK-6»-ის გადატანაPK40+00-107+75
11	FOPTNET	ოპტიკური კაბელი	არსებულიოპტიკურ-ბოჭკოვანიკაბელი«OK-24»-ის გადატანაPK93+00-107+75

19. სამშენებლო მასალების წყაროები

კარიერების ოპერაციაზ შესაძლოა გამოიწვიოს მიწის გამოყენებისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხების ზრდა, რაც უნდა იყოს შემსუბუქებული და გაკონტროლებული. კარიერების ჩამოყალიბებას განსაკუთრებით, რომლებიც მასშტაბით ან აღვილმდებარებით მოითხოვენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას გააჩნიათ პოტენციალი რომ იქნიონ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ეს პოტენციური ზემოქმედებები, (ვიბრაცია, ხმაური მტვერი, ზემოქმედება წყლის ხარისხსა და რაოდენობაზე, გრუნტისწყლებისდონის დაცვა) უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებრივ მექანიდეობაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ლანდშაფტზე, მოძრაობაზე და ნარჩენ მასალებზე.

ონტრაქტორმა უნდა მოამზადოს და წარუდგინოს მგვ-ს ანგარიში გარემოზე ხემოქმედების სავარაუდო სპექტრისა და უნდა შესთავაზოს შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები.

დამატებით კონტრაქტორმა მოკლედ უნდა აღწეროს არსებული შემოთავაზებული მოპოვებისა და წარმოების მეთოდი, განვითარების გეგმა, რეზერვების შეფასება და დაწმორჩხილოს სპეციფიკიკური განსაზღვრულ სტანდარტებს.


გზის მშენებლობისას საჭირო შემავსებლისთვის გამოიყენება შემდეგი კარიერები:

ცხრილი 19.1: სამშენებლო მასალების წყაროები

№	ლიცენზიის ს №	თარიღი	ხანგრძლივობა	მეწარმე	რეზერვი გვ	ტელეფონი	შენიშვნა
1	100739	23.03.2009	5წ.	შპს ”ტრანსკავბაზუს ენერჯი”	100000		
2	100607	10.08.2009	5წ.	ფიზიკურიპირი ირაკლილომთაძე	40000		
3	100427	10.03.2009	5წ.	შპს ”ბენი”	54000		
4	100723	19.11.2009	5წ.	შპს ”ბენი”	56000		
5	100842	17.07.2006	10წ.	შპს ”ჯორჯიან ცემენტი”	120000		

6	278	25.08.2006	10წ.	შპს "კარიერსერვის ჯგუფი"	64000		
7	1000165	29.06.2007	5წ.	შპს "ინტერუნივერსალი"	14325		
8	1000069	29.06.2007	5წ.	შპს "ოლიმპი"	14325		
9	1000428	03.01.2012	5წ.	შპს "თჯგუფი"	45000		
10	1000358	09.01.2012	5წ.	შპს "შექნ მექანიზაცია"	50100		
11	1000262	13.11.2009	3წ.	შპს "ლდაზ ინერტი"	35100		
12	1000165	29.06.2007	5წ.	შპს "ინტერუნივერსალი"	14325		
13	1000172	26.08.2011	5წ.	ფიზიკურიკირი მარლენგვიდიანი	13500		
14	343	30.08.2006	10წ.	შპს "კომერციული საგაჭრო კომპანია დიდგორი"	100000		რეკომენ..
15	1000423	17.02.2012	5წ.	შპს "კარიერი"	39600		
16	912	11.05.2007	5წ.	შპს "ინერია"	44740		
17	78	19.04.2006	10წ.	შპს "გზამსენი-4"	100000	57741-86-44	რეკომენ
18	100620	03.05.2006	10წ.	შპს "თთ"	80000	57741-86-44	რეკომენ
19	1000178	29.08.2011	5წ.	შპს "რიყე"	12900		
20	731	13.06.2006	10წ.	შპს "თბილისი"	300000		
21	1000166	16.01.2008	5წ.	შპს "ინტერუნივერსალი"	71400		

b(Jbb02879-GEO: rm3oR.'obo-fлом(JR,'O bof!!ob (<>'b(Jr?6>oJC>fiobb.>'bf:!(J.>r?o)8 'bob m6oR.'obo-
r??JbUJ0(JOb8fJb0J(J(JUJOb8fJb0J(J(JUJ0 2) 8fJJ!!()f?fiob>C>J00b bC>ObJOb?f'J, d(JbtJ0J!!(J)(Ob,8d(Jfi(JJR,'")J(Jb
8;;f?m(Job!!Cbe,'b(JJ!!C>Bb(JJ!!()R,4'Jb;87Jd0f'J(J60



20. ხმაურის შემამცირებელი ზომები

20.1ძირითადი

პროექტის სპეციფიური პირობებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება გზის მდინარის პირასა და დასახლებული პუნქტის ახლოს გავლაში, ხმაურისა და ვიბრაციის ფაქტორი ადგილობრივი მოსახლეობისა და არსებული საცხოვრებელი შენობების მიმართ არის მე-2 მონაკვეთის დეტალური პროექტირებისას გარემოსთან დაკავშირებული მთავარი საკითხი.

N.E.P- მ (საინჟინრო საკონსულტაციო კომპანია), ჩაატარა ხმაურის მოდელირება და გააკეთა ანგარიში “ საკონსულტაციო ” მომსახურება შესწავლისათვის სტრუქტურული მთლიანობის და ხმისა და ვიბრაციის გავლენის შენობებსა და დასახლებულ პუნქტებზე თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთზე (მონაკვეთი 2, კმ5.2-6.9)

20.2 შესასწავლი ადგილი და შენობები



N.E.P- მ შეისწავლა ხმაურის გამოყოფა და გავრცელება თბილისი რუსთავის დამაკავშირებელი ახლი გზის კმ4+00 და 10+755 მონაკვეთში. კმ5+200-კმ6+900 მონაკვეთში გზის გასწვრილ არსებული დასახლებული პუნქტიდან, რამდენიმე შენობა ძალიან ახლოს მდებარეობს გზასთან.

იმისათვის, რომ შეესწავლათ ხმაურის დონე სამუშაო არეალში და შენობებთან ახლოს, ბევრი მიმღები პუნქტი იდეალურად იყო მოწყობილი შენობების ფასადთან შესაბამისობაში, საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დისტანციისა და სიმაღლის გათვალისწინებით. შენობების სხვადასხვა სიმაღლის გათვალისწინებით, 2 სართულიანიდან 9 სართულიანი შენობების ჩათვლით, მიმღები პუნქტები მოწყობილი იყო მიწიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, როგორც იყო რეკომენდირებული რეგულაციების მიხედვით.

ქვემოთ სურათები წარმოგიდგენთ შესწავლის არეალს, როგორც შენობებს, ასევე მიმღები პუნქტების პოზიციებს.

სესხი 2879-GEO: იბლივის-წითელისიდი(აზერბაიჯანის საზღვარი)გზის
თბილისი-რუსთავის მონაკვეთის(მონაკვეთი 2)მოდერნიზაციის საინჟინრო, შესყიდვების,
მშენებლობის მართვის და ხედამხედველოსამუშაოები

[შესწავლის არეალი]



ნომერი	დაწესებულება	შენობის სურათი
შენობა 1	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 17 მ -ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 2	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 17 მ -ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 3	ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, 27 მ-თ დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 4	ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, 22 მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	

შენობა 5	ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 27 მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 6	ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, 44 მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 7	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 56 მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 8	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 60 მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	

შენობა 9	ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 87მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	
შენობა 10	სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 87მ-ით დაშორებული ახალი საქალაქო გზიდან.	

20.3 შემამცირებელი ზომები

გარემო ხმაურის მოდელირება ხმის დამხმობი პარიერისათვის

ანგარიში “საკონსულტაციო მომსახურება შესწავლისათვის
სტრუქტურული მთლიანობის და ხმისა და ვიბრაციის გავლენის შენობებსა და
დასახლებულ პუნქტებზე” თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთზე (მონაკვეთი 2,
კმ 5.2-6.9), იძლევა რეკომენდაციას რომ დამონტაჟდეს ხმის დამხმობი პარიერი.

ჩატარებული კვლევა აჩვენებს შესაბამის შემზღვდავ წესებს
და საძლებელ, გათვალისწინებით რამდენიმე მიმღები პუნქტისა როგორიცაა
შენობები 1,2,3,4,5 და 6. იმ შემთხვევაშიც კი თუკი საქალაქო გზაზე მოძრაობის
მაქსიმალური სისწარე შემცირდება 80 კმ/სთ-მდე.

ხმის დამხმობი ბარიერის დამონტაჟების შემთხვევაში, ხმაურის დონე შენარჩუნდება მისაღები ხმაურის დონის ფარგლებში. 3-8მ იანი პანელების დამონტაჟება უნდა მოხდეს გამწვანებულ არეალში ძალიან ახლოს საქალაქო გზასთან და გზის გასწვრივ. ყველა ზედაპირს უნდა პქონდეს დიფრაქციული პანელი თავზე, რომელიც დამონტაჟდება სწორი კუთხით ვერტიკალურ კედელთან მიმართებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ხმის დამხმობი ბარიერების მდებარეობას.

ხმის დამხმობი ბარიერების მდებარეობა

N.	ადგილმდებარეობა		სიგრძე (მ)			შენიშვნა
	დასაწყისი	დაბოლოება	სიმაღლე 3მ	სიმაღლე 5მ	სიმაღლე 8მ	
1	5+170	5+340	170	-	-	გამჭვირვალე პანელი
2	5+342	5+460	-	-	118	გამჭვირვალე პანელი
3	5+462	5+550	-		88	გამჭვირვალე პანელი
4	5+550	5+592	-	42	-	გამჭვირვალე პანელი
5	5+594	5+720	-	126	-	გამჭვირვალე პანელი
6	6+720	6+780	-	60	-	გამჭვირვალე პანელი
7	5+338	5+344	-	-	6	გამჭვირვალე პანელი
8	5+458	5+464	-	-	6	გამჭვირვალე პანელი
9	5+590	5+596	-	6	-	გამჭვირვალე პანელი

სესხი 2879-*GEO*:იბილისი-წითელისიღი (აზერბაიჯანის სახლვარი) გზის
თბილისი-რუსთავის მონაკვეთის (მონაკვეთი 2) მოდერნიზაციის საინჟინრო, შესყიდვების,
მშენებლობის მართვის დაზღვანი მუნიციპალიტეტებისა და სამუნიციპალიტეტების

10	7+955	8+190	235	-	-	გამჭვირვალე პანელი
ჯამი			405	234	218	